№ 1/8 4 აგვისტო 2014 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, კოსტავას I შესახვევი №1-ში სავაჭრო, საოფისე შენობის მშენებლობისას მომიჯნავე შენობების მდგრადობის შესახებ

ქ. თბილისში, კოსტავას I შესახვევი №1-ში გათვალისწინებულია შვიდსართულიანი სავაჭრო, საოფისე შენობის მშენებლობა, სარდაფით, რომლის ჩაღრმავებაც 0,00 ნიშნულიდან -3,00 მ-ია. 0,00 ნიშნულს შეესაბამება 433,20 აბსოლუტური ნიშნული. საპროექტო შენობის ჩრდილოეთით „1“ - „4“ ღერძებში ესაზღვრება მშენებარე ორსართულიანი შენობა, რომელსაც გააჩნია სარდაფის სართული -3,00 ნიშნულზე, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას საპროექტო შენობის საძირკვლების დაპროექტებისას. „4“ – „6“ ღერძებს შორის საპროექტო შენობას ემიჯნება ორართულიანი არსებული შენობა, რომელსაც სარდაფი არ გააჩნია. სამხრეთით საპროექტო შენობას ესაზღვრება 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც საპროექტო შენობიდან მოცილებულია მინიმუმ 6,0 მ-ით.

ქვაბულის ძირის 430,20 მ ნიშნულზე მოჭრამდე პირველ რიგში უნდა განხორციელდეს მიმდებარე შენობებისა და სამეზობლო მიწის ნაკვეთების, ჩრდილოეთით № 01.15.03.010.106 და № 01.15.03.010.107 საკადასტრო ერთეულების, , ხოლო სამხრეთით № 01.15.03.010.031 საკადასტრო ერთეულის

მხარეს პერიმეტრებზე შპუნტური რიგის მოწყობა, რაც უნდა დამუშავებული იქნას, პროექტის კოსტრუქციულ ნაწილში, კვალიფიციური სპეციალისტის მიერ. ამის შემდეგ უნდა დამუშავდეს ქვაბული საპროექტო ნიშნულზე და დაიწყოს საძირკვლების მოწყობა, შპუნტური რიგი უზრუნველყოფს სამეზობლო მიჯნაზე არსებული შენობებისა და სამხრეთით არსებული კორპუსთან მისასვლელი სავალი ნაწილის მდგარდობას.

მშენებლობა უნდა განხორციელდეს სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

დასკვნა: ქ. თბილისში, კოსტავას I შესახვევი №1-ში სავაჭრო, საოფისე შენობის მშენებლობისას მომიჯნავე შენობების მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება დასკვნაში მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

შპს „გრაალი”-ს დირექტორი: / გ. გეთიაშვილი /